№ 234

სამშაბათი 11 ნოემბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 234

სამშაბათი 11 ნოემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადნი იასონ, მიტროფანე და ალექსანდრე ნიკოლოოზის ძენი ნიჟარაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მამისა თვისისას,

თავ. ნიკოლოოზ ზექანის ძის ნიჟარაძისას

სთხოვენ დაესწრნენ გარდაცვალებულის გვამის გამოსვენებას ამა ნოემბრის 11-ს, სამშაბათს, სოფ. მაღლაკს.

(1—196—1)

ივანე დავითის ძე და მარიამ როსტომის ასული სულხანიშვილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა საყვარელის შვილის

დათას

გარდაცვალებიდგან ორმოცის დღის შესრულებას და სთხოვენ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, დილის ათს საათზედ, გორის მაზრის სოფ. ტირძნისში, სადაც გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი.

(1—197—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

I

სკაპენის ცუღლუტობა

კომედია 3 მოქ. თხზ. მოლიერისა, თარგმ. აკაკი წერეთლისა.

II

ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში

ფარსი 3 მოქმედ. თარგმ. აბაშიძისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარელისა, საყვარელიძისა, გარელი, რჩეულოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, საფაროვი, თამაზოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

მზადდება „მამა“—დრამა 4 მოქმედ. ი. ლაზარიაშვილისა.

მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ნადვორნი სოვეტნიკობა კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელეს, კამერ იუნკერს თავადს გრუზინსკის, განჯის გუბერნიის ნუხის მაზრის ბოქაულს ქუთათელაძეს.

კოლეჟსკი ასესორობა—განჯის გუბერნიის შუშის ნაწილის მომრიგებელ შუამავალს ვეზირიშვილს.

ტიტულიარნი სოვეტნიკობა კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელს კამერ-იუნკერს თავად მუხრან-ბატონს, ერევნის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს მდივანს პარეიშვილს, დაღესტანის ოლქის ქიურდამირის ნაწილის ბოქაულს ჯავრიშვილს.

კოლეჟსკი სეკრეტრობა: ტფილისის გუბერნიის სამაზრო სამმართველოების მდივნებს ტფილისის მაზრის ღულაძეს და გორისას—გოგოხიასა, ტფილისის სამაზრო პოლიციის სამმართველოს საქმის მწარმოებელს—ინდუაშვილს, განჯის გუბერნიის ნუხის მაზრის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს თავად გურამიშვილს.

გუბერნსკი სეკრეტრობა: სიღნაღის სამაზრო პოლიციის გამგეობის თარჯიმანს—ბეგიაშვილს, ერევნის გუბერნიის ახალ ბაიაზეთის მაზრის მეორე ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს თავად ვაჩნაძეს.

კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ტფილისის სამაზრო პოლიციის კანცელარიის მოხელეს თავად ბარათაშვილს, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის ქვიშეთის ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს ფურცელაძეს, განჯის საქალაქო პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს ვეზირიშვილს, ქ. ტფილისის პოლიციის მოხელეს თავად რატიშვილს.

ტიტულიარნი სოვეტნიკობა—უეზის სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს ხუტულაიშვილს.

კოლეჟსკი სეკრეტრობა—ქუთაისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს—ხოშტარიას.

კოლეჟსკი სოვეტნიკობა—სოხუმის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს, თავად ერისთავს.

კოლეჟსკი ასესორობა—ლეჩხუმის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლეს—მღვდლიშვილს, ფოთის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლეს—ყიფიანს, ქუთაისის მაზრის ბაღდადის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ჩაჩიბაიას და რაჭის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწეს ხარაძეს.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო: კოლეჟსკი სეკრეტრობა—ახალქალაქის მაზრის საპატიმროს ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებელს—ყიფიანს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მე VI ხარისხის მოხელეს შენგელიას.

გამწესებულ იქმნენ მღვდლის შვილი ერასტი გაბისონია, აზნაური გიორგი გვათუა და ტფილისის მოქალაქე კონსტანტინე საკაძე ფოსტალიონებად პირველი მეორე—ტფილისის ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის პირველ განყოფილებაში, ხოლო მესამე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

დათხოვნილ იქმნა: სამსახურიდგან საოჯახო მიზეზებისა გამო სენაკის მაზრის მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის კანდიდატად ნამყოფი თავადი ტარიელ ჩიქოვანი.

ახალი ამბავი

—

⁂ შაბათს, 8 ნოემბერს, ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში, ბ-ნი კავსაძისა და მჭედლიშვილის ხორომ კონცერტი გამართა. კონცერტს ხალხი კარგა ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. ხოროს ამ ბოლო დროს შესამჩნევი წარმატება დასტყობია: თითქმის ყველა სიმღერა მან საუკეთესოდ შეასრულა. ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ ხორო ცამეტის კაცის ნაცვლად, როგორც წინად იყო, ეხლა ოცდაერთი კაცისაგან შესდგება. გარდა ამისა, ხორომ რამდენიმე ახალი ხალხური სიმღერა შეასრულა, რომელნიც წინად ტფილისის საზოგადოებას არასოდეს არ მოუსმენია. საერთოდ, როგორც ამ უკანასკნელმა კონცერტმა დაგვარწმუნა, ხოროს გამგებელნი და თვით ხოროს მონაწილენი არავითარს შრომას არა ჰზოგამენ. ხორომ ამ საღამოთი უფრო კარგად შეასრულა „თოხნური ქართლური“, „ინდი, ფინდი, ფერად შვინდი“, „სატრფოვ, შენთვის დავიბადე“, „სულო ბოროტო“ (სოლო), „სიმღერა მკის დროს“ და მრავალი სხვა. საზოგადოებამ ვაშას ძახილითა და ტაშის ცემით დააჯილდოვა როგორც ხოროს ლოტბარი ბ-ნი კავსაძე, აგრეთვე თვით მგალობელნი.

⁂ ქალაქის გამგეობამ დაავალა გამგეობის წევრს ხ. ა. ვერმიშევს გასინჯოს და შეამოწმოს ტფილისის ცხენის რკინის გზის ბელგიის უსახელო საზოგადოების საანგარიშო წიგნები.

⁂ შაბათს, 8 ნოემბერს, მეორედ ჰქონდა სხდომა საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც ტფილისში პოლიტეხნიკუმის საქმე აქვს მინდობილი. კომისიამ დაადგინა დაჰბეჭდოს თავისის ქვემდებარე კომისიის მიერ შედგენილი წერილი ამ საგნის შესახებ და ხელ-ახლად წაიკითხოს იგი მომავალს შაბათს.

⁂ კვირას, 9 ნოემბერს, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში მეორე კრება ჰქონდა სათავად-აზნაურო კომისიას ტფილისის გუბერნიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. კომისიამ განიხილა-რა საერობო ხარჯთ აღრიცხვა, დაადგინა: მომავალ კვირას მოისმინოს გ. მ. თუმანოვის მოხსენება იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც უნდა შეტანილ იქმნას საერთო საერობო დებულებაში ტფილისის გუბერნიისათვის ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით.

⁂ დაუმტკიცებიათ წესდება ქუთაისის ოლქის შესწავლის მოყვარეთა საზოგადოებისა.

⁂ 8 ნოემბერს ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა საჯარო ვაჭრობა ფოთის ნავთ-სადგურის იჯარით გაცემის შესახებ. ეს საქმე იკისრეს ცნობილ ინჟენერთ ბუნგემ და პალაშკოვსკიმ, რომელთა ვექილმაც ინჟენერმა დიმშამ 1,575,357 მ. 43 კაპ. დაინარჩუნა.

⁂ გაზ. ,,კავკას‘‘-ს გაუგონია, რომ საფრანგეთის რომელიღაც ამხანაგობას მოლაპარაკება აქვს განსვენებულ სოლოვცოვის მემკვიდრეებთან და უნდა ჩაქვის მამული შეისყიდოსო.

⁂ ახალ ბაიაზეთის ქალაქის საბჭომ, როგორც გაზ. ,,მშაკ‘‘ ახალ ბაიაზეთიდგან ატყობინებენ, აღმოაჩინა თურმე ქალაქის ფულის გაფლანგვა ა. ბურნუზიანცის ქალაქის დეპუტატად ყოფნის დროს. რამდენიმე ათასი მანათია თურმე გაფლანგული და დამნაშავეებად დეპუტატად ნამყოფთ ბურნუზიანცის მახლობელთ ასახელებენ.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწის თანამდებობაზედ ტფილისის სამაზრო სამოსამართლო განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწეს გ. ს. კოვალევს ჰნიშნავენ.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, სიონის ტაძრის მღვდელს მამა თოთიბაძეს მართლ-მადიდებელთა ეკლესიისათვის შემოუერთებია სომეხ-გრიგორიანი ტფილისის მოქალაქე არშაკ ყანდარევიჩი.

⁂ „ყუბ. ოლქ. უწყ.“-ში შემდეგი საყურადღება ამბავია დაბეჭდილი: წარსულ შაბათს საეპარქიო მისიონერი მ. სიმეონ ნიკოლსკი ცოტას ხნით ამოვიდა ქ. ეკატერინოდარში და, სხვათა შორის, დაათვალიერა ადგილობრივი საპატიმრო. თითქმის ყველა პატიმარი კარგად იცნობს მ. სიმეონს, რადგან წინად ბევრჯელ ყოფილა საპატიმროში რამდენისამე მაჰმადიანის მოსანათლავად და სხვა საეკკლესიო წესის აღსასრულებლად. მ. სიმეონი საქმეს რომ მორჩებოდა, მუსაიფს დაუწყებდა პატიმართ და თითქმის ყოველ პატიმარს მოიკითხავდა ხოლმე. მისიონერის საპატიმროში მისვლა გაიგეს თუ არა პატიმართ, ძალიან ესიამოვნათ და ყველამ ცალკე მოინდომა იმასთან მუსაიფი. მ. სიმეონმაც დააკმაყოფილა ყველას სურვილი და ამ დროს მოხდა ის, რაც არასოდეს არ მომხდარა ეკატერინოდარის საპატიმროში. ბევრმა პატიმარმა მისიონერთან მუსაიფის შემდეგ მოისურვა თვისი დანაშაულის გულ-ახდით აღიარება სამართლის წინაშე. რასაკვირველია, მაშინვე მოწვეულ იქმნა ბრალმდებელი და ამ პატიმრებმა, რომელთაც წინად მხოლოდ კაცის მოკვლა ჰბრალდებოდათ, ბევრი სხვა დანაშაული აღიარეს.

⁂ დაიბეჭდა და ხელის-მომწერთ დაურიგდა მე-XI, ნოემბრის №-რი ჟურნალ „მოამბეს“-სი ამ შინაარსით: „ამირანის შვილნი“.—ისტორიული რომანი, თარგმანი; „ედმონ ჰარაკურიდან“—ლექსი ს. იორდანიშვილისა; „სასაფლაო“—თარგმანი კიტა აბაშიძისა; „გლეხი-კაცის ისტორია“—ნაწილი მეორე.—ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, „ხალხური ლექსი“—ჩაწერილი მღ. ვ. სონღულაშვილის-მიერ; „დამარცხებული სიბნელე“—კატულ-მენდესისა, თარგმანი; „ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები“—XLIV, XLV, XLVI და XLVII—ალ. ს—შვილისა; „გურია-აჭარა—მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი; „აფხაზები—(ეტნოგრაფიული მასალები), ნიკო ჯანაშიასი; „გენერალი ქრისტეფორე კოსტანტინეს ძე მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეის გამო“—პოტტოსი; „დედათა კითხვა თანამედროვე მეცნიერების წინაშე“—ე. ვაშაკიძისა; „ცნობა ხალხის გამრავლების შესახებ კავთის ხევის სამრევლოში—მღ. დავით ბარნაბოვისა“; „წერილი სტამბოლიდან“—საკომერციო სასწავლებელი.—ავქსენტი გვათუასი და დამატება: „საქართველოს სიძველენი“.

⁂ 6 ნოემბერს, საღამოს 11 საათზედ, როდესაც ტფილისის მცხოვრები ხეჩო ყაზარას ძე სარქისოვი დუქნიდგან ბრუნდებოდა შინ, პატარა ტალახის ვიწრო ქუჩაში დახვედრიან ვიღაცანი და ოთხგან მძიმედ დაუჭრიათ. ავაზაკებს გაძარცვა ვერ მოუსწ-

რიათ, რადგან სარქისოვს თავისს ეზოში შეუსწვრია. სიბნელისა გამო ვერ გაურჩევია, ვინ იყვნენ ეს დამჭრელნი. ადგილობრივის პოლიციის მოხელემ მაშინვე გაჰგზავნა დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში.

⁂ 7 ნოემბერს, მიხეილის ქუჩაზე, სტრახოვის სახლში, ჯაფარიძის სასტუმროში შავის სახადით ავად გახდა რაჭის მაზრიდგან მოსული იაზონ გძელიშვილი, რომელიც მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. სასტუმროში დეზინფექცია მოახდინეს და მერე დაჰკეტეს.

თეატრის მატიანე

„სამშობლო,“ დრამა 5 მოქმედებად

კვირას, 9 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა თავ. დ. ერისთავის დრამა ,,სამშობლო'', რომელიც ჩვენს საზოგადოებას ისე ძლიერ უყვარს. დრამაში მონაწილეობას იღებდნენ ისევ ის არტისტები, რომელთაც წინად არა ერთხელ უთამაშნიათ ამ პიესაში, ქ-ნ კარგარელის გარდა. ამ ახალგაზდა არტისტმა ქალმა ამ საღამოს პირველად შეასრულა ქეთევანის როლი. საერთოდ იგი სუსტი იყო, მაგრამ იმისმა თამაშობამ დაგვარწმუნა, რომ თუ კარგად მოემზადება, გულმოდგინედ შეისწავლის ქეთევანის როლს და კარგი ხელმძღვანელი ეყოლება, ღონე შესწევს ამ როლის ასრულებისა და შეიძლებს კიდეც იმისს თამაშობას.

ამ საღამოს ქართულს წარმოდგენას დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი. მისს ბრწყინვალების გულისათვის უკანასკნელს მოქმედების წინად რამდენიმე სახალხო სიმღერა იგალობა ბ-ნ კავსაძის ხორომ და, ამას გარდა, ლეკური იქმნა გამართული. ბ-ნს მთავარ-მართებელს მოეწონა ქართული წარმოდგენა, გალობა და ლეკური და ხშირად უკრავდა ტაშს არტისტებს. წასვლისას მისმა ბრწყინვალებამ მადლობა გარდაუხადა დრამატიულ დასის რეჟისორს ბ-ნს კ. მესხს და სთქვა, რომ ჩემის მეუღლით კიდევ დავესწრები წარმოდგენას, როდესაც ქირთულის ცხოვრებიდგან დაწერილი პიესა იქმნება დადგმულიო. მის ბრწყინვალებას თან ახლდა თავისი ადიუტანტი თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი.

წერილი ქსნის ხეობიდგან

ჩვენის ხეობის მკვიდრთა წრევანდელი მდგომარეობა უზრუნველ-ყოფილი არაფრითაა, რომ თავი დაირჩინოს. გაზაფხულის სხვა-და-სხვა სენმა და გადამდებმა ავადმყოფობამ მუსრი აგვადინა, სეტყვამ გაგვანადგურა და ამ ბოლოს დროს საქონლის თურქულმა და ჭირმა სულ ბოლო მოუღო იმ სოფლებსაც-კი, რომლებსაც ცოტაოდნად ძალ-ღონე შესწევიათ. წარსულის წლების საქონლის ჭირიანობა რომ მოგვაგონდება, თმა ყალხზედ დგება და ვფიქრობთ: ვაი თუ ის დაუდევრობა, რომელიც სჭირდათ ჩვენ სოფლის მოხელეებს, სენად მოედოთ და მაშინ სრულიად დავიღუპებითო.

სამის წლის წინად ს. ოძისს საქონლის ჭირი მოედო. სოფლის ქუჩები აყროლდა, აივსო ლეშით, 800 სულზედ მეტი დაიხოცა, გუბერნატორის განკარგულებით საგანგებო ბეითალი მელქუმოვი იქმნა გამოგზავნილი. მან შესაფერი დარიგება მისცა ხალხს; შეჰკრა კარანტინი. მეორე დღეს მელქუმოვი გაემგზავრა, მაგრამ ჯერ რკინის გზის სადგურზედ არ ჩასულიყო, რომ მამასახლისად ნამყოფმა ფ—მა კარანტინი ახსნა, თუმცა ხელ წერილით შეეკრა ბეითალს, ორს თვეს კარანტინის ქვეშ ვამყოფებ სოფელსაო. იმ წელიწადს საქონლის ჭირი მთელს ხეობას გადაედო... ზედ და ურთოდ ჩვენებურ ჩარჩ-მოვაჭრეების ქლესური ქცევა, შეუბრალებელი ძარცვა-გლეჯა და დარწმუნდებით, რომ სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში ვართ ჩაცვივნულნი. ამისათვის ხდება კიდეც ურიცხვი ავაზაკობა, მკვლელობა, ყაჩაღთა გამრავლება და სხვა-და-სხვა, რომელიც ქსნის ხეობის მთის ოსებს ხელობად გარდაქცევიათ. წელს არის ჭაპანწყვეტა ყოველ მხრივ. წელს იმატა ყველამ და წუნკალა ოსობას, რომელთა ქოხებიდგან მთის მწვერვალზედ ოდნავ ამოსჭვივის კვამლი და დღეს თუ ხვალ სილატაკისაგან კერაზედ ცეცხლი ჩაუქრებათ, მათგან ან-კი რას უნდა მოველოდდეთ კეთილს!

ქსნის ბოქაულის გამოკვლევით, როგორც ნაუწყები მქონდა წარსულს თვეებში, 40 სოფელია დაზარალებული სეტყვით და ზარალი 50,000 მანეთამდე ჰქონიათ. მერე ისეთი სოფლები, რომლებიც არც წინად იყვნენ სახელ განთქმულნი ზნეობრივ—ეკონომიურად და ახლა ხომ მიწასთან გასწორდნენ. დიახაც ნება უნებლიედ ინავარდებენ, დიახაც არავის შეეპოვებიან. დუშეთის მაზრის უფროსთათ ქსნის ბოქაულმა მოხსენებასთან ერთად თხოვნა შეიტანა, რომ მაზრის უფროსს შუამდგომლობა გაეწია უმაღლესის მთავრობის წინაშე და მცხოვრებთ ან ჰპატიებოდათ წრევანდელი სახელმწიფო გარდასახადი, ან შემსუბუქებოდათ, ვინაიდგან ხალხი სილატაკისაგან გამწარებულიაო... ალიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქსანზედ დაეწყოთ შესაწირავთა მოკრება დაზარალებულთათვის, მაგრამ არც ერთის მხრივ ჩამი-ჩუმი არ ისმის...

კაცის შრომა აქ ჩალის ფასადაც არა ღირს! ახლად დასახლებულის ვინაგრადოვის გარდა, თითქმის არავინ აძლევს მუშა ხალხს შრომით ლუკმა შეიძინოს და ვინც არიან აქა-იქ, ჩხირკედელაობაში ატარებენ დროს; ყველას მოეხსენება ჩხირკედელაობით შეძენილი ლუკმა ზამთარს ვერ გასტანს. ს. ახალგორის მოვაჭრეთა ხელშიაც, მართალია, მრავალი მოჯამაგირე—მუშაა, მაგრამ ისიც დღიურის ლუკმისათვის: სახლში ისინი ვერას შეიტანენ, რადგან მოვაჭრე იქაც ანგარიშით იქცევა—ნახევარ თუნგ, ან ჩარექა ღვინოში მუშას ჯანს აცლის და სახლში ხელ-ცარიელს ისტუმრებს. დარჩა ტფილისში შეშის ზიდვა, რომლითაც მოუსავლობის დროს ბევრჯელ მოუდგამს სული ჩვენ ბარის სოფლებს, მაგრამ მთა ამას მოკლებულია უგზო-უკვალობისა გამო. ამისათვის, ვიმეორებ, ავკაცობა დაეტყო ნამდვილ გულწრფელ მართალ მთის ხალხს. მართალია, აქაურ ოსთა მოქმედების მაგალითი უნდა დავასახელო, მაგრამ ოსიც არის და ოსიც! ავ-კარგი ყველაში მოიპოვება და იმ ოსობას, რომლებიც ბარის სოფლებს ახვევია, შეძლება და გზა-კვალი აქვთ, ქართველებში სცხოვრობენ და ვერ დავწამებთ ავ-კაცობას.

ხოლო მთის ოსობაში ხშირია და კიდეც მოხდა სხვათა შორის ამას წინად ჩვეულებრივი ავ-კაცობა: ს. მერევიდგან (შორაპნის მაზრაა) გამოემგზავრა ცხენებისა და საქონლის სასყიდლად კოტე წერეთელი. რკინის გზით ჩამოსული გორს, სადაც, სხვათა შორის, თავისის ნათესავის სანახავად შებრუნდა, შეხვდა თურმე ნაცნობს იაგორას, ს. წოლდაში მცხოვრებელს. წერეთელმა, სხვათა შორის, ჰკითხა დუშეთის გზა და დაუმატა, რომ ცხენების და საქონლის სასყიდლად ვაპირებ თქვენკენ მოსვლასაო. იაგორამ დუშეთის გზა ს. წოლდაზედ უჩვენა. წერეთელი სასყიდელს დაჰპირდა ოსს და გაიყოლა გორიდგან წოლდისაკენ. წოლდაში იმ დღეს ნაშუადღევს წამოსულნი ბინდისას მივიდნენ. ამ საღამოს წერეთელი შეხვდა თავისს ნაცნობს მეორე ოსს პეტრე მარღიშვილს, რომელსაც თურმე ქიათურში იცნობდა შავი ქვის მადანზედ მუშაობით. პეტრემ მიიპატიჟა იმ ღამეს, გაუმასპინძლდა სტუმარს და თავისს სახლშივე მოასვენა დასაძინებლად.

მეორე დილას გამოვიდა თუ არა წერეთელი მასპინძლის სახლიდგან, დაინახა ჯგუფად შეკრებილი ხალხი მასპინძლის სახლთან, რომელთა შორის იყო მღვდელი გრიგოლ წერეთელიც. იმ დღისათვის ოსობას დანიშნული ჰქონდათ მეჯლიში, რომელზედაც მოსული სტუმარი მიიპატიჟეს. წერეთელი ენდო ოსებს და დასთანხმდა იმათ სადილს. ნადიმზედ დაესწრო ზახორის საზოგადოების მამასახლისიც. სადილმა მხიარულად ჩაიარა, ხოლო ბევრი დაითრო, ბევრმა გონება დაჰკარგა. დამსწრეთა შორის ბევრიც გაჭირვეულდა და ეჭვიც აიღეს მოსულ წერეთელზედ: მოჰკითხეს ბილეთი, გამოჰკითხეს, რისთვის მოსულხარ, ვინ ხარ, სადაურიო და სხვა. წერეთელმა იფიქრა თურმე ,,ვთქვა ყველასთან, რომ საქონლის სასყიდლად წამოველი, გამძარცვავენო'', და ისევ გამოაცხადა: „ცხენი დავკარგე, საძებნელად წამოვედი, იქნება თქვენში გამოჩნდესო“. ოსებმა მოჰკითხეს თურმე მოწმობა დანაკარგისა. წერეთელმა იგი ვერ დაუმტკიცა და ისევ გამოტყდა, რისთვისაც იყო მისული. ოსებმა შეურაცხებად მიიღეს, ქურდობა დაგვაბრალაო, ჩვენში წერეთლის ცხენს რაუნდაო და მიეხვია ნასვამი ხალხი, აგლიჯეს დამბაჩა, ხანჯალ-ქამარი და ჩოხაც ზედ შემოახიეს. ამ ამბის მეორე დღეს ქსნის ბოქა-

ფელეტონი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„დედა-ენა“ ი. გოგებაშვილისა და „ბავშვების მოკეთე“ ალ. ნათაძისა. შედარებითი განხილვა ორივე წიგნის ანბანისა.

I

ბ-ნმა ალ. ნათაძემ თავისს წერილში („ივერია“ № 181) გამოსთქვა სურვილი, რომ მისი სახელმძღვანელო წიგნი „ბავშვების მოკეთე“ „დედა-ენასთან“ შედარებით სამართლიანად და საქმის დაკვირვებით იქმნას გარჩეულიო. ბ-ნი ნათაძე დარწმუნებულია, რომ ამ ორ სახელმძღვანელო წიგნს შორის დიდი ზღვარი სძევს და უპირატესობაც, რასაკვირველია, მისს წიგნს ეკუთვნის, მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი და ბ-ნის ნათაძის სურვილს არავინ ასრულებს, ე. ი. „დედა-ენასთან“ შედარებით არავის გაურჩევია მისი სახელმძღვანელო ჯერ; თუმცა ზოგიერთებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი ხსენებულის წიგნის შესახებ, მაგრამ იმ შენიშვნებში „დედა-ენა“ არავის უხსენებია, ამიტომ ამ ჟამად ჩვენ ვკისრულობთ დავუპირდაპიროთ ამ ორივე წიგნის ანბანები, თუ პატივცემულ მკითხველებს არ მობეზრდათ კითხვა ერთ და იმავე საგნის გამო, და იმითი მოვიშოროთ თავიდგან უსაფუძვლო საყვედური, რომლითაც მოგვმართა ბ-ნმა ნათაძემ თავისის წერილის ბოლოში, და შემდეგ შევეხებით პირველ დაწყებითს საკითხავ წიგნსაც ანბანის შემდეგ.

დღეს ყველამ, ცოტად თუ ბევრად მომზადებულმა პედაგოგიის მხრით, იცის, ანბანის სწავლება სკოლებში და ოჯახებშიაც უნდა სწარმოებდეს ესრედ წოდებულ სახმო მეთოდით, მაგრამ სახმო მეთოდიც ზევრ ნაირია და ვინც-კი დაჰკვირვებია ამ მეთოდის ზრდასა და თან-და-თან განვითარებას, შეამჩნევდა, რომ ზოგიერთი სახე სახმო მეთოდისა არ არის სრული, უნაკლულო. ამ უკანასკნელს დროში ხსენებულს მეთოდს ჰყოფენ ოთხ სახედ: ა) სინტეტიურად, ბ) ანალიტიკურად, გ) ხერხი წერა-კითხვისა თუ კითხვა-წერისა და დ) ნორმალურის სიტყვებისა. ყველა ამ სახეს თავისი ნაკლულოვანებაცა აქვს და ღირსებაც; აქ, რასაკვირველია, საჭიროა მეანბანეთაგან ნაკლულევანებას გზა აუხვიონ და ღირსებას ჩასჭიდონ ხელი. სინტეტიურის წ'ით წერა კითხვის სწავლება გაცალკევებულია, ჯერ შეასწავლიან რამდენსამე ასოს ბეჭდურს, ან წერით და შემდეგ კითხვას აწყებინებენ. ამ ხერხს სწავლებისას ის ნაკლულევანება აქვს, რომ ნაწილიდგან გადადიან მთელზედ—ჯერ ხმებს ასწავლიან და შემდეგ სიტყვებს და ფრაზებს, მაშინ, როდესაც ბავშვებისათვის ფრაზები და სიტყვები უფრო ნაცნობია, ვიდრე ხმები. ანალიტიკურის წესით წერა-კითხვის სწავლება იწყება წინადადებათა სიტყვებად და სიტყვების მარცვლებად და ხმებად დაყოფით. ეს ხერხი, რომელიც გამოიგონა ფრანგების პედაგოგმა ჟაკოტომ, უფრო დაახლოვებულია ბავშვების ბუნებრივად განვითარებასთან, მაგრამ უნაკლულო არც ეს არის; ჟაკოტოს აზრით—წერა-კითხვის სწავლება ყოველგვარის წიგნით შეიძლება. რადგანაც წერა კითხვის სწავლება ანალიტიკურის წესით ერთსა და იმავე დროს სრულდება, ნემეცების პედაგოგებმა მალე შენიშნეს, რომ პირველ დაწყებითის კითხვისა და წერისათვის საჭიროა შესაფერისის სიტყვებისა და წინადადებათა არჩევა და ყოველ-ნაირ წიგნში სწავლების დაწყებინება. ამ ნაკლულევანების თავიდგან აცილებას შეუდგნენ ფოგელი და ბემე. ფოგელმა შემოიღო ესრედ წოდებული „ნორმალურ სიტყვების“ მეთოდი ანუ ანალიტიკო-სინტეტიური. ეს უკანასკნელი სახელი უწოდეს ამ მეთოდს მისთვის, რომ ფრაზების სიტყვებად და სიტყვების მარცვლებად და ხმებად დაყოფის შემდეგ მოითხოვება ხელ-ახლად იმავე ხმებისაგან სიტყვების შედგენა, ე. ი. ამ შემთხვევაში ანალიზი და სინტეზი ერთსა და იმავე დროს სრულდება. რუსეთში ამ მეთოდს ფოგელისას უწოდებენ სინკრეტიულს მეთოდს. რადგანაც, როგორც სინტეტიურს, ისე ანალიტიკურს მეთოდს განცალკევებით აქვს ის ნაკლულევანება, რომელიც ზემოდ ვუჩვენეთ, ამიტომ ამ უკანასკნელს დროს ყველა ხალხის საუკეთესო პედაგოგები საუკეთესო მეთოდად წერა-კითხვის სწავლებისათვის ანალიტიკო-სინტეტიურს აღიარებენ, რომლის დროსაც წერა-კითხვის სწავლება ერთს ჟამს სწარმოებს და ამიტომ მოწაფეებიც უფრო მტკიცედ აღნიშნავენ და აღიბეჭდავენ თავიანთ გონებაში ყველა იმას, რასაც ისმენენ, ჰხედავენ და აკეთებენ. ამ მეთოდის შესახებ ბ-ნის ნათაძის მიერ კარგად ცნობილი პედაგოგი მიროპოლსკი ამბობს: „Онъ вполнѣ отвѣчаетъ основной идеѣ начальнаго учебнаго курса, который долженъ представлять собою **одно оригинальное цѣлое**, части котораго развились бы изъ основной идеи, концентрически. Въ этомъ способѣ обученіе грамотѣ является **живымъ центромъ**, около котораго группируются всѣ элементарныя знанія и умѣнья, составляющія предметъ обученія въ начальной школѣ“ (Обучен. грам. Спб 1881 г. გამოც. 3 გვ. 154).

„დედა-ენის“ ანბანში ყველა შენიშნავდა, რომ ჯერ მოყვანილია სურათი და მისი სახელი „ნორმალური სიტყვისათვის“, რომელიც დანაწილდება ჯერ მარცვლებად და შემდეგ ხმებად (ანალიზი), შემდეგ იმავე ხმებიდგან შესდგება სიტყვები და ფრაზები (სინტეზი). აქედგან ცხადია, რომ „დედა ენის“ ანბანი შედგენილია ანალიტიკო-სინტეტიურს წესზედ, რომელსაც ბ-ნი გოგებაშვილი ადგას თავიდგან ბოლომდის გადაუხვევლად და ასწავლის კითხვას და წერას ერთსა და იმავე დროს. ეხლა ვიკითხოთ, რომლის მეთოდის მიხედვით არის შედგენილი ბ-ნის ალ. ნათაძის ანბანი? სიტყვების ანალიზს ხსენებულს ანბანში დიოგენის ფარნითაც ვერ იპოვის მკითხველი; „ნორმალური სიტყვები“ არის მოყვანილი, მაგრამ ბოლომდის არც ეს არის გატარებული. ბ-ნი ნათაძე ჯერ აჩვევს ბავშვებს კითხვას სურათების შემწეობით და შემდეგ დასაგეშებელ მეძებარსავით გზას უხლართავს. მაგალითებრ, სიტყვები—მეფე, უთო, ნინო, მაჟალო, რეჰანი უსურათოდ არის მოყვანილი. ამ შემთხვევაში და სხვა ბევრშიაც ბ-ნი ნათაძე ჰბაძავს რუსების მეორე ხარისხოვან პედაგოგებს, მაგალითად, ბუნაკოვი ხმარობს სიტყვებს **дорога** (გვ. 31), **урожай** (გვ. 35) და სხვა. უცნობი ასო ამ შემთხვევაში სიტყვის ბოლოშია მოქცეული და არა თავში, აქედგან ბავშვები წაიკითხავენ ჯერ ცნობილ ასოებს და იქნება ალღოთი მიხვდნენ უცნობის ასოს შესაფერისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულთან წერეთელმა, სხვათა შორის, გამოაცხადა შეურაცხების მოყენების გარდა, ოსებმა 300 მანეთი ფულიც ამაცალეს ჯიბიდგან—გამძარცვესო. ბოქაულმა ხანჯალი, ქამარი და დამბაჩა ისევ წერეთელს დაუბრუნა, ხოლო ფულის გამო საჩივარი სასამართლოს გარდაეცა. სამართალი, ცხადია, თავის სამართლიან მსჯავრს დასდებს, მაგრამ პატიოსანთ შეღავათი არ ეძლევათ თუ ადგილობრივ ადმინისტრაციამ არა იღონა რა ლატაკთა უზრუნველ-სამყოფელად: მთის გზები უნდა გაიხსნას, მისვლა-მოსვლა ბარად გაადვილდეს, რომ ხალხი თავისს შრომას გამორჩეს რასმე; მანამდე-კა სახელმწიფო გარდასახადთა შემცირებაა საჭირო...

მოხევე

◆

რუსეთი

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ სამიწათ მოქმედო და დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში სასოფლო სამეურნეო ამა თუ იმ დარგის შესწავლის მსურველნი მიღებულ იქმნან ხოლმე პრაქტიკანტებად. სასწავლებელში შეუძლიანთ დარჩნენ, რამდენს ხანსაც მოისურვებენ. თუ მოწმობის მიღება მოინდომა რომელმამე, ეგზამენი უნდა გარდაიხადოს სასოფლო-სამეურნეო იმ დარგის პრაქტიკულად ცოდნისა, რომელსაც სწავლობდა. სასწავლებელში სწავლის დროს ფული არ გამოერთმევათ მოსწავლეთ.

— სამოსწავლო უწყებამ ხელახლად აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭიროა სასწავლებლებთან შემნახველი კასსები დაარსდეს ისევე, როგორც ბელგიასა და გერმანიაშიაო.

— უწმიდესმა სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომ ამიერიდგან სასულიერო სასწავლებლების მოსწავლენი საზაფხულოდ სრულის ორის თვით იქმნან ხოლმე დათხოვნილნი, სახელდობრ 15 ივნისიდგან 15 აგვისტომდე.

— ცნობილმა მკურნალმა კალლომ, რომელმაც კუზის გასწორების საშუალება მოიგონა, მოსკოვის უნივერსიტეტისა და ქალაქის საავადმყოფოებში ბევრს კუზიანს უწამლა და ყველამ მშვენივრად აიტანა იმისი წამლობა.

— მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს სამხრეთ რუსეთში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დააარსოს. ასეთი სასწავლებელი, სამინისტროს პროექტით, უნდა დაარსებულიყო ხარკოვსა, ან პოლტავაში, მაგრამ რადგანაც მომავალს შემოდგომას კიევში დაარსდება პოლიტეხნიკუმი სასოფლო-სამეურნეო განყოფილებით, ამიტომ უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის რომელსამე დიდ ქალაქში უნდა დაარსდეს, მაგალითად, სარატოვსა, ან სამარაში.

— სასულიერო უწყებამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ყველა ეპარქიაში საისტორიო სასტატისტიკო კომიტეტები. კომიტეტში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების მასწავლებლები და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული მღვდლები. კომიტეტს მთავარ-საგნად იმ ეპარქიის საეკლესიო ისტორიის შესწავლა ექმნება, რომელშიაც იგია დაარსებული.

◆

უცხოეთი

—

გერმანია. როდესაც ევროპის მოწინავე კაცები უქადაგებენ მთელს ქვეყანას, ჯარს იარაღი აჰყარეთ და განათავისუფლეთო, სწორედ ამ დროს გერმანიის მთავრობა მოწადინებულია ერთი ორად გაამრავლოს უიმისოდაც მრავალ-რიცხოვანი თავისი ჯარი და ამით მეტი გარდასახადი გაუჩინოს თვისს ქვეშევრდომთ. გაზეთების სიტყვით, ამ ახლო მომავალში მთავრობა მოითხოვს, რომ იმაზედ მეტი, რაც დადებულია, ჯარის-კაცი იქმნას გაწვეული და თვით ჯარი ახალის მსწრაფლ მსროლელის თოფებით იქმნეს შეიარაღებული. შეიარაღების მომხრენი ინგლისისაკენ იშვერენ ხელს და ამბობენ, რომ იქ მთავრობაცა და საზოგადოებაც მოწადინებულია ჯარის გამრავლებას და ჩვენ ინგლისს არ უნდა ჩამოვრჩეთო. გერმანიის მთავრობას აზრადა აქვს აგრეთვე ფლოტის გადიდებაც. განსაკუთრებით ამას თვით იმპერატორი ვილჰელმია ძალიან მოწადინებული. ის დიდი ხანია ამ აზრის განხორციელებას ადგას და ამ ჟამად ყოველ ღონესა ჰლონობს, რომ იმის პროექტი ფლოტის გადიდების შესახებ პარლამენტმა არ უარ ჰყოს.

—

საბერძნეთი. გაზ. „times“ სწერენ ათინიდგან: ,,საბერძნეთისა და ოსმალეთის წარმომადგენელებმა ხელი მოაწერეს ოქმს თესალიელთა დაბრუნების შესახებ. ამ გარდაწყვეტილების ძალით გარდახვეწილთ ნება ეძლევათ დაბრუნდნენ თესალიის ყველა ადგილში, იმ ადგილის გარდა, სადაც ეხლა ოსმალეთის ჯარი სდგას. იმათ შეუძლიანთ დაბრუნდნენ სამშობლოში მუზაკასა, დერვონსა, ფუკსა და ვოლოთის გზით. საბერძნეთმა იკისრა მოუმზადოს ამ გარდახვეწილთ ერთის კვირის სანოვაგე. ოსმალეთის მოხელეთ ხელი არ უნდა შეუშალონ თესალიელების დაბრუნებას. არ შეუძლიანთ დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში მხოლოდ იმათ, ვინც საბერძნეთის ჯარში ჰმსახურებდა. დაბრუნებულთ პირველ ხანს გარდასახადი არ გამოერთმევათ, მხოლოდ წვრილ-ფეხა საქონელზედ იქმნება გაწერილი ცოტაოდენი გარდასახადი“.

—

კრიტი. ათინის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა კრიტის მცხოვრებლებს, კრიტის გენერალ-გუბერნატორად პრინცი ადოლფ შაუმბურგლიპე აირჩიეთო, ამასთანავე გერმანია პირობას სდებს, სულთანს მე დავითანხმებო. შუამავალად პასტერი კუმბესი ყოფილა, რომელსაც მოლაპარაკება ეპისკოპოს დიონისისთანა ჰქონია. კრიტის მცხოვრებელთ უარი განაცხადეს გერმანიის წინადადებაზედ.

◆

დამაკვირდი

ძნელია შეიყვაროთ იგი, ვინც ჩვენზედ დაბლა სდგას, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია იმისი შეყვარება, ვინც ჩვენზედ მაღლა სდგას.

ლაროშფუკო

* * *

ცოლ-ქმრობაში ქმარი მთელს თავისს სიცოცხლეს ამტკიცებს და ვერა მოუხერხებია-რა, ცოლი არაფერს არ ამტკიცებს და ყველაფერს-კი ახერხებს.

საფირის ლექსიკ.

* * *

შენს თავს რომ ასიამოვნო, ეს ადამიანური სიხარულია. თუ სხვას ასიამოვნებ, ღვთიურს სიხარულს იგრძნობ.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისურ გაზეთებში ამ ჟამად დიდი კამათობაა შესახებ იმისა, როგორა სჯობია ქალისათვის ცხენზედ ჯდომა, გვერდზედ, ქალის უნაგირზე, თუ ვაჟკაცურად. თურმე გვერდზედ ჯდომა ცხენზედ შემოიღო ინგლისში დედოფალმა ანნამ. მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ამ დედოფალს ერთი ფეხი მოკლე ჰქონდა მეორეზე და იმიტომ შემოიღო გვერდზედ ჯდომა ცხენზედ, რომ ეს ნაკლი ხალხს არ შეემჩნია. დედოფალს მთელმა ინგლისმა წაჰბაძა და ინგლისიდგან ეს ჩვეულება მთელს ევროპაში გადიტანეს. ამ ჟამად ინგლისელ ქალებს განზრახვა აქვთ თავი დაანებონ ამ ჩვეულებას და ისე ისხდნენ ცხენზე, როგორც მამაკაცნი სხედან. ტრანსვაალში, იაპონიაში და საზოგადოდ ყველგან, ევროპის გარდა, ქალები ისე სხედან ცხენზე, როგორც მამაკაცნი. ამტკიცებენ, რომ ჰიგიენის მხრივ სრულებით არაფრად არის სასარგებლო გვერდზედ ჯდომა ცხენზედ და პირ-იქით, საშიშიც არის, რადგანაც ამ გვარად ცხენზედ მჯდომი ქალი უფრო ადვილად გადმოვარდება და დაიშავებს რასმე. დროა, თავი დავანებოთ ამ მავნებელ ჩვეულებას, რომელიც კოჭლმა დედოფალმა შემოიღოვო.—ამბობენ ინგლისელი ქალები.

* * *

ლონდონის ერთის სამკურნალოს მკურნალმა მიჰმართა ლონდონის ყველა სამკურნალოების მკურნალებს და ურჩია, კარგად ადევნეთ თვალ-ყური იმ ყვავილებს, რომელიც ნაცნობებს მოაქვთ ხოლმე ავადმყოფებთან, რადგანაც ზოგიერთი ყვავილი ძლიერ მავნებელია სნეულისათვის. საჭიროა სასტიკად აკრძალოთ ავადმყოფთან მოტანა წყალში ჩადგმულ მოწყვეტილ ყვავილისა. თუმცა თვით ყვავილი მავნებელი არ არის, მაგრამ ის წყალი-კი, რომელშიაც ყვავილი სდგას, ძლიერ მალე ფუჭდება. ამიტომ ამგვარი ყვავილები ერთს დღეზე მეტს არ უნდა იდგეს ავადმყოფის ოთახში, და ისკი უკეთესი იქმნება, რომ სულ არ შეიტანონ ავადმყოფის ოთახში. ხელოვნურად გაკეთებული ყვავილი სულ არ უნდა შეიტანონ ავადმყოფის ოთახში, რადგანაც ძლიერ მავნებელია. სუნსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. უკეთესია ავადმყოფისათვის ისეთი ყვავილი, რომელსაც ნაკლებადა აქვს სუნი. მკურნალი სწერს, რომ არც აკრძალვა ვარგა ყვავილების მოტანისა ავადმყოფებთან,

---

ხმას. ბ ნი ნათაძე-კი უცნობის ასოთი აწყობინებს კითხვას და აქედგან გამოდის არა ცნობილიდგან უცნობზედ გადასვლა, არამედ უცნობიდგან ცნობილზედ. მაგალითად ავიღოთ სიტყვა ხინო. ბავშვებმა არ იციან ნ. რად ჰგონია ბ-ნ ნათაძეს, რომ ბავშვები უსათუოდ თავისთავად მიხვდებიან, წასაკითხი სიტყვა ნინოა და არა გიგო, ანუ კიკო, ლილო და სხვა!—

ბ-ნ ი. გოგებაშვილის ანბანის საკითხავის მასალის დალაგებით განიყოფება სულ ოთხ კონცენტრად, რომელთა შორის დაცულია სრული თანდათანობა. პირველი კონცენტრი ანუ წრე შესდგება მოკლე სიტყვებისა და იმავე სიტყვებიდგან შემდგარ ორ-სიტყვიან წინადადებისაგან, ამას მოჰყვება სამ-მარცვლოვანის სიტყვებისა და ორ-სამ სიტყვიან წინადადებათა კითხვა, შემდეგ კითხულობენ ოთხ მარცვლოვან სიტყვებსაც და სამ-ოთხ სიტყვიან ფრაზებს, და ბოლოს ანბანი სრულდება პირდაპირ ფრაზებისა, ანდაზების კითხვით. საკითხავის მასალის ამნაირად დალაგებით ბავშვები თანდათან გადადიან ძნელზედ და კითხვაც თანდათან უადვილდებათ. „ბავშვების მოკეთის“ ანბანში ვერ შეხვდებით კონცენტრიულად დალაგებულ საკითხავ მასალას. აქ თავდაპირველადვე შეხვდებით სამ-ოთხ სიტყვიან ფრაზებს: „აი სოსოს თითი“ (გვ. 8)
„იასე, აი იესოს სახე“ (გვ. 10)
„ეს აკაკია, ის კეკე“ (გვ. 12)
„ფეფო, ეს თოფი ვისია“? (გვ. 13)
„ძია, ეს ძაფი ძიძას მიე“ (გვ. 15)
„მარო, მიე მაშოს შეშა“ (გვ. 16).
ეს არის თითქმის ანბანის დასაწყისში, შემდეგ-კი ხშირად შეხვდებით ორის სიტყვისაგან შემდგარ ფრაზას: „ნინო კივის“ (გვ. 19), „ათი ლორი“ (გვ. 21), „ნიკო კალოზეა“ (გვ. 22) და სხვა. შეცდომა ბ-ნის ნათაძისა, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ერთსა და იმავე გაკვეთილში ხშირად ჯერ აკითხებს სამ-ოთხ სიტყვიან ფრაზებს და შემდეგ ორ სიტყვისაგან შემდგარ ფრაზებს, მაგალითად „ოთხი მაღალი ხე“, ამის შემდეგ ბავშვი კითხულობს: „ათი ლორი“, „ლიზამ ნახა ლომი“, შემდეგ „ნიკო კალოზეა“. ხშირად ორ სიტყვიანის წინადადების შემდეგ აკითხებს ოთხ სიტყვიან ფრაზას: „ფეფო, ეს თოფი ვისია?“ და სხ. რასაკვირველია, ადვილ წასაკითხი მასალა ყოველთვის წინ უნდა უძღოდეს ძნელს, რომლითაც შეიძლება დაიცვას შესაფერი და საჭირო თანდათანობა კითხვის სწავლებაში.

ბ ნი გოგებაშვილი წინადადებებში, ანუ ფრაზებში ჰხმარობს იმისთანა სიტყვებს, რომელიც წინდაწინ წაკითხული აქვთ ბავშვებს. მკითხველი უეჭველად დამეთანხმება, რომ ერთხელ წაკითხულის სიტყვის წინადადებაში წაკითხვა სრულიად არ გაუძნელდებათ ბავშვებს და ეს წაკითხვის სიადვილე და სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა თავისთავად ჰშველის ფრაზების აზრის შეგნებასაც. ამ სასარგებლო და საჭირო მოსაზრებით ბ-ნი ნათაძე სრულიად არა ჰხელმძღვანელობს თავისს ანბანში, ის ხშირად წინადადებებში პირველ ნაბიჯიდგანვე ჰხმარობს ისეთს სიტყვებს, რომელიც ბავშვებს წინდაწინ არა აქვთ ნაკითხი, მაგალითად, „თითო ოთახი“, ,,სისო, აი თოხი“, ,,ორი ხარი“, ,,ოთხი თოხი“, ,,ორი თარი“, ,,ერთი ხე“, ,,იასე, აი იესოს სახე“. ამ უკანასკნელს ფრაზაში სამი სიტყვა „იასე“, „იესო“ და „სახე“ სრულიად უცნობია.

ბ-ნი ალ. ნათაძე პირველს ოთხს გაკვეთილზედ აკითხებს მარტო სიტყვებს, სულ ცხრამეტ სიტყვას, რომელიც ორის გაკვეთილისთვისაც ცოტაა. ბ-ნი გოგებაშვილი-კი პირველ გაკვეთილიდგანვე წაკითხულ სიტყვებიდგან ადგენს მოკლე ფრაზებს საკითხავად. ამ აზრის შესახებ როგორც რუსეთში, ისე ჩვენებურ პედაგოგებშიაც სხვა-და-სხვა შეხედულობა ჰსუფევს. ზოგიერთი, და მათ შორის ბ-ნი ნათაძეც, უფრთხის თავიდგანვე პატარა ფრაზების კითხვას იმ მოსაზრების გამო, რომ ვითომ ფრაზები უძლეველ მასალას უნდა წარმოადგენდეს თავდაპირველად ბავშვებისათვისაო. ცნობილია, რომ ბავშვებს საზოგადოდ უფრო რეალური წარმოდგენა აქვთ ფრაზების შესახებ, ვიდრე ცალიერ სიტყვებზედ, რომელიც უფრო გასაგები ხდება მაშინ, როდესაც რომელიმე სიტყვა იხმარება წინადადებაში. სიტყვების კითხვის შემდეგ მოკლე ფრაზების წაკითხვა უფრო ახალისებს ბავშვებს სწავლისათვის და შრომასაც უფრო აზროვანადა ჰხდის, რადგანაც, ვიმეორებთ, თუ ზომიერი და საჭირო თანდათანობა არის დაცული სიტყვებისა და ფრაზების კითხვაში, ბავშვის შრომა ამ შემთხვევაში მისს სულიერს ძალას სრულიად არ აღემატება. თუ ჩვენებურმა ბავშვებმა იას წაკითხვა შეიგნეს, „აი ია“-საც ადვილად წაიკითხავს და გაიგებს და „ათი ია“-საც შემდეგ გაკვეთილში. ამგვარ წესს მისდევს ერთი რუსების კარგად ცნობილი მეანბანე—პავლენკოვი, რომლის ანბანი ძალიან გავრცელებულია მთელს რუსეთში.

„დედა-ენის“ ანბანში, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, კითხვასა და წერასაც ერთს დროს სწავლობენ. ზოგიერთ რუსების პედაგოგებს, ამ უკანასკნელ დროში, წერისა და კითხვის ერთს დროში სწავლება ძნელად მიაჩნიათ იმის მიხედვით, რომ რუსული ნაწერი და ნაბეჭდი ასოები ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ ერთსა და იმავე დროს ბავშვს ორი სიძნელე ეძლევა,—დაიხსომოს როგორც ნაბეჭდი, ისე ნაწერი ასოც. ქართველ ბავშვებს თავიდგანვე სტამბურის ხელით აწერინებენ, რომელიც ბეჭდურისაგან არაფრით არ განსხვავდება, მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი საბუთი წერა-კითხვის გაცალკევებისა სრულიად უსაბუთო და უმნიშვნელოა ქართულად წერა-კითხვის სწავლების გაცალკევებისათვის. პირ-იქით, კითხვა, როგორც სინტეზი, და წერა, როგორც ანალიზი, ერთმანეთს შველის და სწავლის საქმესაც ნაყოფიერადა ჰხდის. ბ ნი ნათაძე ხუთს გაკვეთილს მხოლოდ კითხვას ანდომებს და შემდეგ ერთბაშად აწერინებს ხუთ-ექვსს ასოს. რადგანაც მთელს ანბანში ასოების მეტს არაფერს აწერინებს, არც სიტყვებს და არც ფრაზებს, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბ-ნის ნათაძის ანბანის გათავების შემდეგ ბავშვმა უნდა იცოდეს მარტო ასოების ძალა-უნებურად ჯღაბნა. ძალა-უნებურად ჯღაბნაო ვამბობთ იმიტომ, რომ როდესაც ბავშვს ერთსა და იმავე დროს აწერინებთ ხუთს და ექვსს ასოს, ე. ი. რამდენსამე სიძნელეს ერთბაშად მოახვევთ თავზედ, ის ვერც ერთს ვერ დასძლევს, ვერც წერას ისწავლის და სულიან ხორციანადაც დაიტანჯება.

(შემდეგი იქმნება)

რადგანაც ყვავილის დანახვა მუდამ სასიამოვნოა ავადმყოფისათვის და, მაშასადამე, სასარგებლოც. ძლიერ კარგია აგრეთვე, რომ ავადმყოფის ოთახი მწვანით იყოს მორთული. ამისათვის უფრო კარგია ევკალიპტი, რადგანაც ეს მცენარე ჰერსა სწმენდავს.

◆◆

გამოსადეგი ცნობა

ყველას შეუძლიან სახლში გამართოს ისეთი ბარომეტრი, რომელზედაც ფული არ დაეხარჯება. კედელში დაჭკარით ლურსმანი და განათით ჩამოჰკიდეთ ერთი კონა ბატისა ან ქათმის ფრთა და დანიშნეთ კედელზე, სადამდინაც ეს კონა მისწვდება. თუ წვიმა უნდა მოვიდეს, კონა დანიშნულ ადგილზე ძირს დაიწევს, თუ კაი დარი უნდა დადგეს, კონა ისევ მაღლა აიწევს. ამგვარად შეგიძლიანთ შეიტყოთ დარის გამოცვლა —12 საათით ადრე.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 ნოემბერი

პეტერბურგი. 8 ნოემბერს, ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და პრინცესა შლეზვიგ-გოლშტეინისა ცარსკოე სელოდგან მობრძანდნენ და მიხეილის მოედანზედ მოსკოვისა და მე-210 ქვეითა ზურგის საინჟენერო რაზმების საეკკლესიო დღესასწაულს დაესწრნენ. დღესასწაულის შემდეგ საზამთრო სასახლეში გამართულ იქმნა უმაღლესი საუზმე. საუზმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ.

პარიჟი. გენერალ პელიეს მიერ დაწყებული გამოძიება ესტერგაზის საქმისა ჯერ არ დასრულებულა. გაზეთმა ,,Jovr.“-მა, რომელსაც ესტერგაზამ უკვე რამდენჯერმე ანდო თავისი ამბები, აღიარა, რომ ესტერგაზმა, როდესაც გაზეთებს მიჰმართა, წესდება დაარღვიაო, ამასთანავე გაზეთი ამბობს, რომ არავის უნდა გაუკვირდეს, თუ ესტარგაზს სასტიკად მოექცევიან, რადგანაც იმისი საქმე ძალიან წააგავს პოფვენ სენ-მარელის საქმესაო. შესაძლოა, რომ იგი რამდენისამე დღით დაპატიმრებულ იქმნასო.

კონსტანტინეპოლი. თათარ-ბაზარჯიკში, გარადილოვის ბურგომისტრის კონსტანტინოვის მოკვლის საქმის გამო ბრალდებულთ ტოპალეკსა და სალეპოვს სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტათ, ხოლო სტოიანოვს—ერთის წლით საპატიმროში დამწყვდევა. რადგანაც სალეპოვი მცირე წლოვანია, სიკვდილით დასჯის ნაცვლად 15 წლით იქმნება დაპატიმრებული.

პარიჟი. გენერალმა, რომელსაც გამოძიება აქვს მინდობილი, დღეს ესტერგაზას ჩვენება არ ჩამოართვა. ტყუილია ის ამბავი, ვითომ შერერ კესტნერმა დარლანს საბუთის ქაღალდები გადასცაო. სასჯულო საქმეთა სამინისტროში იმ აზრისანი არიან, რომ შერერი სასამართლოს არ მიჰმართავს, ვიდრე მათე დრეიფუსის მიერ აღძრული საქმე არ დასრულდება, იმიტომ, რომ თუ ბრალდება დამტკიცებულ იქმნება, მაშინ საქმის ხელ-ახლად განხილვა უეჭველად საჭირო გახდებაო.

9 ნოემბერი

ბელგრადი. როგორც ნამდვილის წყაროებიდგანა სჩანს, ის ამბავი, ვითომ მილან ობრენოვიჩი ხელ-ახლად ცოლს ირთავსო, ტყუილია.

ბერლინი. „ჩრდილო—გერმანიის გაზეთს“ ნამდვილის წყაროებიდგან შეუტყვია, რომ კიანგჩაუსთან დაბანაკებულმა ჩინეთის ყველა ჯარმა, იმის შემდეგ, რაც მათ გარემოებათა შესაფერი წინადადება მიეცათ და რაც გერმანიის ჯარის რაზმი მოვიდა, სისხლის დაუღვრელად დასტოვეს კიანგ-ჩაუ. იმათ წასვლის შემდეგ ქალაქი გერმანიის ჯარმა დაიჭირა. 1,200 ჩინეთის ჯარის-კაცმა იარაღი წაიღო და წავიდნენ. დიდერიხსმა იმათ 14 კრუპის ზარბაზანი და იმათი მოწყობილობა დაუჭირა.

ლონდონი. ოლდერსტეტ-სტრიესსა და კრიპლგეტში საშინელმა ცეცხლმა გაანადგურა რამდენიმე სახლი და ასი სავაჭრო საწყობი. ზარალი სამ მილიონამდეა აღრიცხული.

კონსტანტინეპოლი. სახელმწიფო საბჭოს წევრი სომეხი ოჰანეზ ეფენდი სამოქალაქო ფურცლის მინისტრად იქმნა დანიშნული.

ყველა მოხელეთ ხელის მოწერა გამართეს კუნძულ კრიტის გაჭირვებულ მაჰმადიანთა სასარგებლოდ.

10 ნოემბერი

კოვნო. ტაუროგენის საერო სასწავლებლის მასწავლებელს. დაუმტკიცდა საზარელ საზიზღარი მოქმედება თავისს მოწაფეებთან. ოლქის სასამართლომ დამნაშავეს 10 წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა.

ათინა. ზაიმისმა განაცხადა, რომ ასე 10 დღის შემდეგ წარმოუდგენ უკანასკნელად შესწორებულს პროექტს ზავისასა, ხოლო დეკემბერის დასაწყისში საფინანსო კანტროლის კანონ-მდებლობასო. მინისტრი თხოულობს პალატის დათხოვნას და ამბობს იმ წამსვე მოუწოდებ პალატას, როგორც-კი შევიძლებ ზავის პირობათა წარმოდგენასო.

პარიჟი. გენერალი პალიე და მისი მახლობელნი საიდუმლოო ინახავენ დაწვრილებულს ცნობებს ესტერგაზის საქმის გამოძიებისას. ამიტომ ამ საქმის შესახებ ცნობების დაჯერება სიფრთხილით უნდა. ეს საქმე გამოაშკარავდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოძიება გათავდება და მისი შედეგი სამხედრო მინისტრს მოხსენდება.

პარიჟი. პოლკოვნიკს პიკარს, რომელიც ამ ჟამად ტუნისშია, ჩვენებას ჩამოართმევენ დრეიფუსის საქმის გამო.

ტრომზე. შპიცმერგენზე გაგზავნილი ექსპედიცია ანდრეს საძებნელად გაგზავნილი უკან დაბრუნდა ისე, რომ ვერც ვერა ნახა რა და ვერც ვერა გაიგონა რა ანდრეს შესახებ.

წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობასა ვწირავთ პლატონ ჩხაიძეს, რომელმაც გადმოგვცა მის მიერ ტფილისში შეკრებილი 22 მან. 20 კაპ. ნაგომრის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. აქვე მოგვყავს შემომწირველთა სია: პლატონ ჩხაიძე 3 მ., გიორგი გორჯალაძე—1 მ., სერგო სვანიძე 20 კ., იოსებ კენჭაძე 20 კ., დიმიტრი ვაშაკიძე 40 კ., ვიქტორ ჩხაიძე 1 მ., მათე კობალავა 2 მ., ვანო მაისურაძე 20 კ., ლავრენტი ჩხაიძე 1 მ., ვისარიონ ლომიძე 20 კ., ბენიამინ ანდღულაძე 1 მ., რევანოზ ლავინიძე 20 კ., ივანე ხიდელინი 20 კ., დიანოზ ტუგუნიძე 20 კ., თომა ანდღულაძე 1 მან., თომა მუხაშავრია 1 მ., ტიტიკო დუმბაძე 1 მ., ტატო ლევანიძე—20 კ., დიმიტრი ტრაპაიძე 20 კ., ირაკლი გვიბირიძე 2 მ., იორდანე ჩიტიძე 20 კ., გიორგი ტრაპაიძე 50 კ., გოლა ჩუბინიძე 30 კ., კოსტა კალანდაძე 50 კ., გიორგი კუტულაძე 50 კ., სერგო მშვიდობაძე 50 კ., იოსებ დანელია 50 კ., ვანო კიკინაძე 1 მ., მარტირუზ ოგანეზოვი 20 კ., ირაკლი ცეცხლაძე 1 მ., ნიკო სალუქვაძე 50 კ. და იულო ბერძენიშვილი—30 კ.

წიგნთ-საცავის დამაარსებელნი
გრ. გუგუნავა
ნ. გეგელაშვილი

◆◆

ს ი ა

იმათი, რომელთაც წარმოუდგინეს „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობას ყულაბებით შეგროვილი ფული 1 თებერვლიდგან 1 გიორგობისთვემდე ამ წლისა

	მ.	კ.
1, ავალიშვილისა, ბარბარე ანდრიას ასული	3	02
2, ანდრონიკაშვილისა, კნ. ნინო	16	02
3, აბელოვისა, ეკატერინე სოლომონის ასული	3	76
4, აბაშიძისა, მარიამ ხახულის ასული	26	51
5, ბილანაშვილისა, მარიამ გრიგოლის ასული	5	38
6, გვერწითლისა, ალექსანდრა გრიგოლის ასული	26	28
7, ვაჩნაძე, ზაქარია	1	70
8, ვაჩნაძე, თ. ივანე გიორგის ძე	18	90
9, ვახვახოვისა, კნ. ქეთევან ესტატეს ასული	26	37
10, ვაჩნაძისა, კნ. ბარბარე იოსების ასული	6	76
11, ვახვახოვისა, კნ. სოფიო ედიშერის ასული	6	95
12, ვაჩნაძისა, კნ. ქეთევან მიხეილის ასული	„	60
13, თაყაიშვილისა, ნინო ეგნატეს ასული	4	52
14, კიკნაძისა, ნატალია . . .	20	26
15, ლორთქიფანიძისა, ანნა დავითის ასული	26	39
16, მიქაბერიძისა ვერა და სოლომონ დოლიძე	12	56
17, მამაცაშვილისა, სოფიო . .	3	09
18, მგალობლიშვილისა, ნინო .	„	76
19, ჟურულისა, ქეთევან . . .	3	69
20, რუსიევისა, კნ. ქეთევან . .	10	39
21, ჩიკვაიძისა, მაკრინე . . .	7	82
22, ჩერქეზოვისა, კნ. დარია ალექსანდრეს ასული	4	30
23, ყარანგოზოვისა, მარიამ დიმიტრის ასული	10	11
24, ჩოლაყაშვილისა, კნ. მართა ივანეს ასული	8	32
25, წერეთლისა, კნ. ნინო ალექსანდრეს ასული	9	35
26, ჯანდიერისა, კნ. სალომე .	9	„
27, ჭავჭავაძისა, კნ. დარია ალექსანდრეს ასული	5	30
	278 მ.	11 კ.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ყველას დახმარებისათვის.

◆◆

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან. ,,ივერიის“ ამა წლის მე 229, 230 და 231 №№-ში დაბეჭდილ ბანკის განცხადებაში, სავადო გარდასახადის დროზედ შემოუტანლობის გამო დაგირავებულ მამულების გაყიდვის შესახებ, შეცდომა იქმნა შეპარული ქვემოდ დასახელებულ მამულების განცხადებაში, ამიტომ გასწორებულს ხელ ახლად ვბეჭდავთ:

ადნციაური ივანე მიდიას ძე, მარსაღიშვილი, კამარაული, კალიშვილი, გუდუშაური და სხვ. სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 547 დესეტ. 2384 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ტფილისის მაზრაში, აგარაკებში: საელიოზოშვილო და სათარხნოში. თავნი ვალი 1938 მ. 36 კ. შემოსატ. გარდ. 91 მ. 55 კ. სულ 2029 მ. 91 კ.

ჯანიაშვილი ზაქარია გიორგის ძე, ღოღიშვილი ალექსი ანდრიას ძე და სხვ. სახნავი, სათიბი და საბოსტნე ადგილები, მიწა ზომით 128 დესეტ. 130 ოთხ კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ტფილ. გუბ., გორის მაზრაში, სოფ. შაშვებსა და ჩალაში. თავნი ვალი 2499 მ. 46 კ. შემოსატ. გარდ. 139 მ. 85 კ. სულ 2639 მ. 31 კ.

თარხან-მოურავი ნიკოლოოზ გიორგის ძე, სახნავ-სათესი, საძოვარი, სასახლკარო, საბაღო ადგილები და ტყე, მიწა ზომით 233 დეს. 956 ოთხ-კუთ. საჟენი, ტფილისის გუბერნ. ტფილისის მაზრაში აგარაკ ლისში. თავნი ვალი 7875 მ. 16 კ, შემოს. გარდ. 240 მ. 20 კ. სულ 8115 მ. 36 კ.

ჯამბაკურიან-ორბელიანი ალექსანდრე ესტატეს ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 731 დეს. 1570 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. ბორჩალოს მაზრაში, საჯასა და ყიზილ-აჯალში ანუ იფნარა და თამაზკულასობა. თავნი ვალი 6901 მ. 97 კ. შემოსატ. 211 მ. 08 კ. სულ 7113 მ. 05 კ. (3—ნ.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ გამგეობის სადგომში **27 ნოემბერს,** შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია **ვაჭრობა,** რომ იჯარით გაიცეს საქმე მასალის მოპოვება-მოტანისა და მუშაობისა, რაც-კი დასჭირდება ქალაქის სახლის აგებას იმ ადგილას, სადაც წინად შიოევისეული ქარვასლა იყო, ქ. ტფილისის მეექვსე ნაწილში, აბანოების ქუჩაზედ. იჯარა უნდა გაიცეს 22.364 მან. 64 კაპ.

ვაჭრობის მსურველთ პირობებისა და გეგმათა დათვალიერება შეუძლიანთ გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველდღე, კვირა უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(4—ნ.—1)

იძლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

ზემო სართულში **ხუთი ოთახი** თავისის მოწყობილობებით.

Открыта подписка на 1898 г.
на еженедѣльный иллюстрированный журналъ
ВОКРУГЪ СВѢТА
14-й годъ изданія
14-й годъ изданія
50 иллюстрированныхъ №№ въ годъ.
Романы, повѣсти, путешествія, научныя статьи и пр.
КРОМѢ ТОГО
БЕЗПЛАТНО
СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ
ЖЮЛЯ ВЕРНА
12 ТОМОВЪ!
лучшихъ романовъ:
Путешествіе капитана Гаттераса.—Путешествіе на луну.—Вокругъ луны.—Пять недѣль на воздушномъ шарѣ.—Ледяной сфинксъ.—Страна пушныхъ звѣрей.—Черная Индія.—Южная звѣзда.—Архипелагъ въ огнѣ.—Паровой домъ.
2 РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ:
1) Проф. Ю. Клевера „Зимній вечеръ“.
2) Акад. К. В. Лебедева „Отдыхъ на соколиной охотѣ“. Олеографъ въ 28 кр.
— ПОДПИСНАЯ ЦѢНА —
НА ГОДЪ: безъ картинъ 4 р. съ двумя картинами 5 р.
съ доставкою и пересылкою.
Подписчикамъ—собраніе романовъ Жюля Верна, 12 книгъ, выданныя въ 1897 году, высылается за 2 рубля съ пересылкою.
Адресъ редакціи: Москва, Валовая ул., д. Т-ва И. Д. Сытина.
(5—მ.—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	8	20
ქართლის ცხოვრება 1 წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით	10	„
ნ. ნიკოლაძის ნაწერები .	„	30
კეთილი ძაღლი . . .	„	20
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიასი	3	„
ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი	1	50
ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია	„	20
აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . .	„	15
ამირან-დარეჯანიანი	1	„
ჩვენი ახალი მწერლობა ვ. სლარაძისა	„	40
ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . .	„	60
გედები საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20
ორი ეტიუდი	„	20
როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . .	„	25
სახალხო ლექსები და ლეგენდები . . .	„	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	„
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	„	10

Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Ноября 1897 г.

სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.